ჩვენ მთიულეთზე ვიცი, რო სამასი არაგველები ხომ აქედან აღმოჩნდენ. ხატი გამოუბრძანებია, მათ დაუსვენებიათ ხატი. ვინ მაიტანა, რა ვიცი? სამასი კი მოკვდა. ბებიამ დათვლისკე, რომ მისი ცხენი შინ მოვიდა დაგლეჯილი. ცხენი წლამდე არ ივიწყებს სახლი გზასაო და მოსულაო, ის დამახსოვნდა მენა.

კაიშაურები

ეგრე სამ მოვკარ ყური. წიგნებშიაც ნიადაგამც სამ წერია. მეფე ერეკლეს დროს ყოფილა სამასი არაგველები. ხო ამბობენ, რომ ხევსურები იყვნენ. სინამდვილეში მთიულები იყვნენ. უფრო მეტი. როცა მეფე ერეკლემ მოიხმო, შეიყარნენ მლეთაში, დაისდეს ფიცი სამასმა არაგველმა. მაშინ აქ ლომისის ეკლესია არ იყო და წვერზე იყო და ფიცი დასდეს და აქ მლეთაში ააშენეს პატარა ნიში იმის სასახელოთ. იქიდან არცერთი არ დაბრუნებულა. მთერი ხომ მაინც გამუსრეს, ჩემო ქალო. იმ ბრძოლაში ხევსურებიც ყოფილან. ასე მაქუ გაგონილი, მთიულები იყვნენ ნამდვილათ.

ქვემო მლეთა

_ აქ დათვალიანთკე ბერიკაცებმა - კარგი კაცი იყოო - სანდროზე,ღვდელი მაინცადამაინც ვერა; როგორც წესი იყო, ღვდელ მოვიყვანდით, იქ ქობი იდგა, იქ დალივა იმ კაცმა ხის ჯამით. მენ მაძლევს, დალივეო. მენ წამოვედი, ის დარჩა. ცოლმა მითხრა, რა იქნაო, დაითვრაო? ავწიეთ ეგრე და ეგრე ავიტანეთ ბაკონზედა. აბა ის ღვდელია, იმან რა უნდა მასწავლოს მენ. შიო იყო ანგელოზი კაცი, აგენ რო მოკვდა. განათლებულმა შიო ღვდელმა გახსნა ეს შკოლა.....

კაიშაურები

წვერზე რო ლომისაა, იქ ხის კარები ეკიდა წინათა იქა ყარაული ჰყოლია. ჯარი მოსულა და აფიცერმა უთხრა: „ შეშა მოგვეციო, ხორცი უნდა მოვხარსოთო“. „ მენ თავადვე სიცივე მყინავსო“. მოვიდნენ, ჩამაადგეს კარები, დაამტვრიეს, მოხარშეს ხორცი. ჯარმა დაიძინა და მეორე დღეს უნდა წამოვიდნენ, მაგრამ სუყველაყა დაბრმა. სად წავლენ. მოვიდა აფიცერი და მუხლის ჩოქი მოიყარა: ოღონდა თოლები აუხილე და მენ რკინის კარებს შაგაბამო“ და მაშინდელი წარწერა აქუს იმ კარებს და დღესაც იქავ არის ის კარები, ვეღარავინ ვერ კითხულობს.

ისეთმა ყრმამა ჩაიცოს,

ვინაც ხმარების ღირსიაო.

რკინის ქალმები ჩაუცვამ და ის რკინის ქალმები იქვეა და ჟაჭვის კოპები აქუ გაკეთებული.

მანდ უცხოვრია ხალხს, ოთხი ძმანი ყოფილან, ღვინოც ქონდითკე. იქ ეხლა ქვევრებია. იქ ჩვენი ლომისის კულუხი ჰქონიათ. თურმე ღვინო მოჰქონდისკე. ვენახი ჰქონიათ და29 წლამდე ვალს უხდიდნენ ლომისას.

ქვემო მლეთა

ლომისაზე გინდა რამე დაგითვალო? შეგეწიოთ თქვენსა და ჩვენცა. როცა თურმე ლეკებმა დაიტაცეს საქართველო, წაიყვანეს და ტყვედ ჩაყარეს შვიდი ათასი, ლომისის ჯორიც წაუღია. იმ თათრაბში აღარც ბალღი გაჩნდის, აღარც მოსავალი. ბოლოს შეწუხდა ის ხალხი. წავიდის მოლასთან. იმან უთხრა: „ეს ხალხი და ის ჯორი თუ არ დააბრუნეთო, სულ გასწყდებითო“. მართლაც სულ ასე იყვისკე. ადგნენ და, რომელიც მძლე ხარი ჰყვანდა, დააკრეს ჯვარი ხარსა და მოიხმეს მთელი ქვეყანა. გამაუძღვება ეს ხარი, სადაც დაწვებისა და დაისვენებდის, ყველგან ნიში ააშენეს. შემდეგ რო მოვიდა აქაც დაისვენა, აქაც ნიში დადგეს. წვერზე რო მივიდა, იქ განისვენა სული. **ეს იყო სათემო. მთლად საქართველომ მონაწილეობა მიიღის. ზოგი ამბობს; „ლომისა კაცი ყოფილა“.**

ქვემო მლეთა

წინავ ლეკები და დვალები მოდენილან და წაასხამენ ცხორსა და ძროხასა, ქალებსა. ცხრა ძმანი ყოფილან. თურმე დადიან და ქალებ იტაცებენ. ბურდული ყოფილა ერთი; „მენ მაგათ ვაჩვენებო“. იმათ უთხრა: „ ჯერ არა მცალია, მემრე მოდით, ქალებ მოგიმზადებთო, მოვკრბ ქალებს, შაგინახამთო“. ჰოდა ვადა მისცეს, ელიან.

ჩამოვიდნენ დვალები, ცხრა ძმანი. ბურდულმა ლასტი დაწნა, მიაყუდა კედელზედა, ააფარა ხალიჩები, ვითომ კერელია და დაუდგეს ლოგინი ცხრა ძმას. უკან კი კარები აქვ. „აბა, ეხლა მოვრეკთ ქალებსო“, უთხრა ბურდულმა დვალებსა. კარგა მაგრა დაათვრეს დვალები, მემრე ლასტი წააქციეს და ზედ კაცები შესდგნენ და დახოცეს ცხრა ძმანი. აი, ეხლა წაასხით ჩონი ქალებიო.

ქიმბარიანი

ძველ დროსა აქ უცხოვრიათ ჩვენს პაპებსა. აი, იმ მთის იქით იყო მტერი. ძალიან სჩაგრავდა ჩვენს ხალხსა, წამოიდოდნენ, ასე ანანურს ზემოთა, მთაზე გადმოდიოდნენ. უწამებიათ ხალხი, ქალები და რამე. იქიდან დაიწყებდნენ და, საცა მოვიდოდენ სოფელში, თითო ღამე დარჩებოდენ. ყველა კომლს მოუვლიდენ. ასეთი დავალება ჰქონდა, თუ არ ეყოლებოდა ლომა ხარი, შავი ხარისთვის უნდა შამაეკრათ წელზედა. უნდა ექეიფნათ. ქეიფის შემდეგ, თუ ქალი იქნებოდა იმ კომლში ან რძალი, უნდა მიეყვანათ. ესე გრძელდებოდა რამოდენიმე ხანი. მემრე ასე გადვიდოდნენ. ახლა მეორე პირობა კიდენ გადმოდიოდენ.. მემრე, ბოლოს, როდესაც რო მობეზრდა ხალხსა, 9 ძმანი ყოფილან ბურდულები, ერთი და ყოლიათ, როცა მოვიდენ, გამზადებულან კარგა; „რაც მოგვივა მოგვივიდესო“. დაუწნავთ ლასტები. მოსულან იქა და ქალი თურმე ტირის. ძმებმა სტუმრებს კაი დრო გაატარებინეს, ღვინო, ლომა ხარი. იციან ცოლებმა და ქმრებმა, როცა დაიძინებენ, ეს ლასტები უნდა გადავაბრუნოთო. ეგრეცა ქნეს, რო უნდა მოეყვანათ ქალი, იმ დროს მისცვინდენ, გადააქციეს ლასტები და ხანჯლებით მოსპეს სულა.

როცა გაიგეს მთიულებმა „ ეხლა ესენი უნდა მაიკვეთოთ აქედანო“.

როცა გაიგეს, გადმოიდენ და აიკლეს აქაურობა. მოვიდენ ჯარი. შეკრეს გზები. კაცი გადმოსულა, უთქომ; „ესე, ესე ემზადება მტერი თქვენზე და თავს მოუარეთო“. უმზადება მთიულეთი და რით უნდა დახვდეს.

შემდეგ იქ, კაიშაურის ველი რომაა, მთიულებს გაუჭრია დიდი კანავა, მარგილი ჩაუყრია და ზედ ბელტი დაუყწყია. წამოსულან. ჩვენი ხალხი გამოიქცა უკან, იმათ რო დაინახეს, დაედევნენ. მოდიან და დასუქებული ცხენებით სცვივიან გათხრილ ორმოში. შვიდათას კაცი ყოფილა და დარჩენილა, შვიდი ამბის მიმტანი.

რამდენიმე წელიწადში კიდენ გამოუგზავნიათ რამდენიმე ხალხი. რო გამოუგზავნია, ღუდას ხეობაში ერთი გზა არის. იმას ეძახიან ებრაულის გზას. იქა ყოფილა ერთი გაგაძე. ეს გაგაძე დახვედრილა; ღვდელი ყოფილა. სწორედ ამ გზაზე ჩაულალავს ეს ხალხი. იქ ჩაფარებული ყოფილან და სულ ჩაუხოცია. და მემრე არის იმაზე ლექსი;

სულსა წყევლიდენ, კრულავდენ, ამ ბერი გაგაძისასა;

„ ჩაგვყარა უალაგოსა, ებრიალულის გზისასა

წამაგვეწიენ მთიულნი, ელვასა ჰგვანდენ ცისასა,

წამოგოყარეს ისარი,, სეტყვასა ჰგვანდა ცისასა“

ახლა გაიმარჯვა მთიულებმა. დაადვეს ყალანი. შვიდი ტონა მჟვლის(ჟოლოს) წვენი უნდა მეეტანათ ლომისობას. მანაჩემი შესწრობია კიდენ.

ბურდულებსა მისცეს დიდი მამული; ბურდულებ რა პატივი სცეს? ბურდულებ ლომისობა მისცეს, შემოსაბალი.

არახვეთი